



5110 Performa+

### აღწერა

ფასადებისთვის განკუთვნილი სუპერ-ელასტიური აკრილის საღებავი აკრილის ემულსიის ფუძეზე, ინარჩუნებს ელასტიურობას -30°C-მდე.

### გამოყენების სფერო

- გამოიყენება ყველა მინერალური ზედაპირის ფასადებზე, ბათქაშზე, ბეტონის ზედაპირებზე, ასევე ძველად შეღებილ ზედაპირებზე.

### თავისებურებები

- ინარჩუნებს ელასტიურობას ტემპერატურის დიაპაზონში -30°C, -60°C.
- მდგრადია ზედაპირული ბზარების მიმართ, ქმნის მაღალი ელასტიურობის საფარს.
- ახასიათებს დაბალი მოხმარება, კარგი დაფარვა.
- წყალგაუმტარია, ხელს უშლის მარილის გამოყოფას, მდგრადია ტემპერატურის ცვლილებით გამოწვეული ბზარების მიმართ, მდგრადია ობისა და ქიმიური კოროზიის მიმართ.
- არ აფერხებს კედლების „სუნთქვას“.
- მდგრადია ცვეთის მიმართ.
- წყლის ფუძეზეა, უსუნო, უსაფრთხო ადამიანისა და გარემოსთვის.

### გამოყენების ინსტრუქცია

- გაასუფთავეთ შესაღები ზედაპირი მტვრისგან, ჭუჭყისგან, ცხიმისგან, ასევე საღებავის ძველი და შეშუპებული ფენებისგან სუფთა და მდგრად მდგომარეობამდე. ახალი მინერალური ზედაპირების შეღებვამდე უნდა დაელოდოთ 28 დღე, ზედაპირის სრულ გამკვრივებამდე. აუცილებელია წინასწარ უზრუნველყოთ შენობის წყალგაუმტარობა.
- აუცილებლობის შემთხვევაში შეავსეთ ბზარები და გაასწორეთ ზედაპირი აკრილის სქელი საგოზავით „ALIN AKRILIK MACUN“ ან „TAMIRART“ ან „MACUNART“.
- შესაღები ზედაპირი ძველი საღებავის ნარჩენებით ან ახალი მინერალური ზედაპირი დაამუშავეთ „UNI-STAR“ ან „SIL-STAR“-ით, ძლიერ შთანთქმელი მინერალური ზედაპირი დაამუშავეთ აკრილის პრაიმერით „AKRILIK ASTAR“.
- გამოყენებამდე საღებავი კარგად უნდა აურიოთ.
- გამოყენებამდე PERFORMA+ გააზავეთ სუფთა წყლით, მაქსიმუმ 10%-ით, და დაატანეთ ზედაპირს ორ ფენად ფუნჯით, ლილვავით ან სპრეით.
- ფენებს შორის დაელოდეთ მინიმუმ 6 საათი.
- გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ გარეცხეთ ხელსაწყოები წყლით.
- შეღებისას და მომდევნო 24 საათის განმავლობაში რეკომენდირებულია შეინარჩუნოთ ჰაერის ტემპერატურა ოთახში და შეღებილ ზედაპირზე მინიმუმ 5°C.
- არ გამოიყენოთ ძალიან ცხელ ამინდში, მზის პირდაპირი სხივების, ძლიერი ქარის, ნისლის, მაღალი ტენიანობის ან წვიმის დროს.
- ძალიან ცხელი ზედაპირები შეღებვამდე უნდა დატენიანდეს.
- არ გამოიყენოთ საღებავი სველ ვერტიკალურ ზედაპირებზე.

### გაფრთხილებები

- ინახება დახურულ კონტეინერებში 5°C-დან 35°C-მდე ტემპერატურაზე.

### შეფუთვა

- პლასტმასის სათლი 2,5 ან 15-ლიტრიანი მოცულობით.
- 2,5ლ სათლები მოთავსებულია ფირის შეფუთვაში, თითოში 2 ცალი.

### ხარისხის სერტიფიკატები

- TS 7847



5110 Performa+

### ტექნიკური მახასიათებლები

(23°C ტემპერატურისა და 50% ფარდობითი ტენიანობის პირობებში)

### ზოგადი მონაცემები

ფერი	თეთრი და A, B და C ბაზები
ფუძე	აკრილის ემულსიის ფუძეზე
გამხსნელი	წყალი
სიმკვრივე	დაახლ. 1,39 გრ/სმ <sup>3</sup>

### ინფორმაცია გამოყენებისთვის

სამუშაო ტემპერატურა	(+5°C) – (+35°C)
გაშრობის დრო	ამრობამდე: 1 სთ, მეორე ფენის გაშრობა: 6 სთ, სრული გაშრობა: 24 სთ მაღალი ტენიანობისა და უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებში აღნიშნული დრო შეიძლება გაიზარდოს
ხარჯი	0,12-0,13 ლ/მ <sup>2</sup> (იცვლება ზედაპირის შთანქექმის უნარის მიხედვით)
საჭირო ხელსაწყოები	ფუნჯი, ლილვაკი, სპრეი

### ინფორმაცია სამუშაო მახასიათებლებზე

EN 1062-1	კლასი
ბზინვა	G3
მშრალი აპკის სისქე	E2
ნაწილაკების ზომა	S1
წყლის ორთქლის გადაცემის უნარი	V2
წყლის გადაცემის უნარი	W3
ბზარების გადაფარვის უნარი	A2
ნახშირორჟანგის გამტარიანობა	C0

აქ მოცემული გამოყენების ყველა რეკომენდაცია და ინსტრუქცია ეფუძნება ჩვენს გამოცდილებას. კომპანია არ არის პასუხისმგებელი გამოყენების ყველა ფორმაზე, რომელიც დაკავშირებულია პროექტის პირობების ცვლილებასთან. აქ რეკომენდებული მეთოდები არ ათავისუფლებს მომხმარებელს პროდუქტის შესაბამისობის დადგენის პასუხისმგებლობისაგან, პროექტის დეტალების გათვალისწინებით.